კამპანიის ჩატარების წესები და პირობები
კამპანია “8 მარტის გათამაშება“

1. საერთო პირობები

1.1. კამპანიის “8 მარტის გათამაშება“ ჩასატარებელი წინამდებარე წესები (შემდგომში “წესები”) განსაზღვრავს კამპანიაში მონაწილეობის მიღების პირობებს და მისი ჩატარების ვადებს, ადგენს საჩუქრების სახეობას და მის რაოდენობას, გამარჯვებულების გამოვლენის წესს, საჩუქრების გაცემის ვადებს, ადგილსა და წესს.

1.2. კამპანიაში მონაწილეობა უფასოა. “8 მარტის გათამაშება“ არ წარმოადგენს ლატარეას, ტოტალიზატორს ან სხვა მომგებიან თამაშობას, რომელიც საჭიროებს ლიცენზიის მიღებას.

1.3. კამპანიის “8 მარტის გათამაშება“ ორგანიზატორს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სააჩი ენდ სააჩი (საიდენტიფიკაციო კოდი: 406049057), იურიდიული პირი, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (შემდგომში წოდებული – “ორგანიზატორი”). ორგანიზატორის მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, ქ. თბილისი, გორგასალის ქ. 97, კორპ 1, ბინა 6. ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქ #23.

ორგანიზატორს უფლება აქვს მოიწვიოს მესამე მხარეები კამპანიის ორგანიზების, მისი განხორციელების კონტროლისა და მომხმარებლების დაჯილდოების მიზნით.

ქვეკონტრაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს კამპანიის ორგანიზებას, ასევე მისი ჩატარების კონტროლის განხორციელებას, მონაცემთა ბაზების შეგროვებასა და მომხმარებლების დაჯილდოებას, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "CSA GRAPE". (საიდენტიფიკაციო კოდი: 43494653). მდებარეობს მისამართზე: უკრაინა, 04071, კიევი, ვერხნი ვალის ქ. კორპუსი A, ოფისი 2.

1.4. კამპანიის “8 მარტის გათამაშება“ ინიციატორს წარმოადგენს კორპორაცია ვიზა ინტერნეშნლ სერვის ასსოსიეიშნ, მეტრო სენტ ბულვარ 900, ფოსტერ სითი, კალიფორნია 94404, აშშ

1.5. კამპანიის ჩატარების ტერიტორია – საქართველო (შემდგომში წოდებული “საქართველო”)

1.6. კამპანიის ჩატარების პერიოდი (შემდგომში –“კამპანიის ჩატარების პერიოდი”) მოიცავს პერიოდს 2024 წლის 23 თებერვლიდან 2024 წლის 7 მარტის ჩათვლით.

1.7 კამპანიის გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება 2024 წლის 8 მარტს, ხოლო გამარჯვებულებს პრიზები გადაეცემათ მას შემდეგ, რაც ისინი დათანხმდებიან პრიზის მიღებას.

1.8. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს დაამატოს და/ან შეცვალოს, საპრიზო ფონდი და კამპანიის ჩატარების პირობები, ასევე შეწყვიტოს, შეაჩეროს, შეცვალოს კამპანიის ჩატარება მთლიანად ან ნაწილობრივ, თავისი შეხედულებისამებრ შეატყობინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებული საშუალებით. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია განთავსდება Visa საქართველოს ოფიციალურ Instagram გვერდზე - https://www.instagram.com/visa_georgia/

2. კამპანიის მონაწილეები

2.1. კამპანიაში მონაწილეობა შესაძლებელია მიიღოს საქართველოს მოქალაქემ, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, შეუსრულდა 18 წელი და გვევლინება სოციალური ქსელის Instagram-ის რეგისტრირებულ მომხმარებლად (შემდგომში–"მონაწილე").

2.2. კამპანიის ყველა მონაწილეს:

- უფლება აქვს თავი შეიკავოს კამპანიაში ჩართულობისგან;
- არ აქვს უფლება გადასცეს და/ან სხვა ნებისმიერი საშუალებით დაუთმოს კამპანიაში მონაწილეობასთან დაკავშირებული თავისი უფლებები მესამე პირს (პირებს);
- შესაძლებელია მიიღონ მხოლოდ 1 პრიზი.

3. კამპანიაში მონაწილეობის პირობები

3.1. კამპანია მოიცავს ერთ კონკურსს და მასში მონაწილეობისათვის სოციალურ ქსელ Instagram-ზე დარეგისტრირებულმა მომხმარებელმა უნდა გამოიწეროს Visa საქართველოს ოფიციალური Instagram გვერდი, უნდა დააკომენტაროს, თუ ვინ არის ქალი, რომელიც მისი შთაგონების წყაროა და ამავე კომენტარში უნდა მონიშნოს ადამიანი/ადამიანები, ვისგანაც სურს შეიტყოს, ვინაა მათი შთაგონების წყარო. კამპანიაში მონაწილეობის პერიოდში, კამპანიაშია მონაწილის Instagram პროფილი ღია უნდა იყოს.

4. კამპანიის საპრიზო ფონდი

4.1 კამპანიის საპრიზო ფონდს, თითოეული გამარჯვებულისთვის, წარმოადგენს Voulez Vous-ს სასაჩუქრე ვაუჩერი (200 ლარის ღირებულების). გამარჯვებული გამოვლინდება **random.org** სერვისის საშუალებით მათ შორის, ვინც გამოიწერა Visa საქართველოს ოფიციალური Instagram გვერდი, დააკომენტარა, თუ ვინ არის ქალი, რომელიც მისი შთაგონების წყაროა და ამავე კომენტარში მონიშნა ადამიანი/ადამიანები, ვისგანაც სურს შეიტყოს, ვინაა მათი შთაგონების წყარო. ანუ, შეასრულა ყველა საჭირო პირობა.

4.2 კამპანიის ფარგლებში კამპანიის მონაწილეს აქვს მხოლოდ 1 პრიზის მიღების უფლება;

4.3 საჩუქრის შეცვლა მისი ღირებულების ექვივალენტური ოდენობის თანხის გადახდის გზით არ ხორციელდება.

5. პრიზების გაცემის/მიღების პირობები, წესი და ვადები

5.1 კამპანიაში მონაწილე ხუთი (5) პირი, რომელიც წინამდებარე წესებისა და პირობების თანახმად, random.org სერვისის დახმარებით გამოვლინდება, გამოცხადდება გამარჯვებულად. ხუთი (5) მთავარი გამარჯვებულის გარდა, გამოვლინდება ხუთი (5) სარეზერვო გამარჯვებული. იმ შემთხვევაში თუ მთავარი გამარჯვებული ვერ დაჯილდოვდება და/ან უარს იტყვის პრიზის მიღებაზე, რიგით პირველ სარეზერვო გამარჯვებულს ექნება პრიზის მიღების შესაძლებლობა, (საჭიროების შემთხვევაში - მეორე სარეზერვო გამარჯვებულს და ასე შემდეგ). მთავარი და სარეზერვო გამარჯვებულების გამოვლენის შედეგები საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

კონკურსის შედეგი გამოცხადდება 2024 წლის 8 მარტს, Instagram Live Stream-ისა და stories საშუალებით.

5.2. ორგანიზატორი შეატყობინებს კამპანიაში მონაწილე პირს მისთვის განკუთვნილი პრიზის შესახებ და ათანხმებს მასთან პრიზის მიღების პროცედურას, Instagram –ის გვერდზე პირადი შეტყობინების გზით, და მოითხოვს პრიზის გადაცემისათვის აუცილებელ ინფორმაციას/დოკუმენტაციას.

5.3. იმ შემთხვევაში თუ 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, ორგანიზატორი ვერ შეძლებს კამპანიის მონაწილესთან დაკავშირებას, ან კამპანიის მონაწილე 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, შეტყობინების მიღებიდან არ წარმოადგენს აუცილებელ ინფორმაციას, ან თუ კამპანიის მონაწილე უარს აცხადებს პრიზის მიღებაზე ან არ პასუხობს შეტყობინებას ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კამპანიის ასეთი მონაწილე კარგავს პრიზის მიღების უფლებას. ასეთ შემთხვევაში, პრიზი რჩება ორგანიზატორის საკუთრებაში.

5.4. კამპანიის მონაწილის მიერ, წინამდებარე წესების 5.2. მუხლის შესაბამისად გამოთხოვილ ინფორმაციაში მითითებული პირადი მონაცემები, უნდა დაემთხვეს მის პირად მონაცემებს რომელიც მითითებული აქვს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში.

5.5. კამპანიის მონაწილისთვის პრიზების გადაცემა ხორციელდება გამარჯვებულის გამოვლენიდან 1 (ერთი) დღის განმავლობაში.

5.6. პირის იდენტიფიკაციისათვის, რომელმაც მოიგო პრიზი და პრიზის მიღების უფლებების დადასტურების მიზნით, კამპანიის მონაწილემ უნდა წარუდგინოს ორგანიზატორს დოკუმენტის ორიგინალი და/ან ასლი, რომელიც ადასტურებს მის პირადობას. იმ შემთხვევაში თუ მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები იწვევს ეჭვს, სანდოობის ან ორიგინალობის თვალსაზრისით, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას

შეამოწმოს შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან, და შედეგების მიღებამდე არ გასცეს პრიზები. იმ შემთხვევაში თუ ორგანიზატორი დაადგენს ყალბი და/ან არასათანადო დოკუმენტების, ინფორმაციის ან ცნობების წარმოდგენის ან კამპანიის პირობების დარღვევის ფაქტს, პრიზების გადაცემა არ მოხდება.

5.7 კამპანიის მონაწილეები ვალდებულნი არიან შეავსონ და ხელი მოაწერონ ყველა აუცილებელ დოკუმენტს, რომელიც წარმოდგენილია ორგანიზატორის მიერ პრიზების მიღება/გაცემისათვის.
5.8 პრიზის გადაცემა ხდება ორგანიზატორის მიერ დამატებით დადგენილ ვადაში, რომლის შესახებაც პირდაპირ ეცნობება მონაწილეს, რომელსაც აქვს პრიზის მიღების უფლება. დაყოვნების შემთხვევაში, ორგანიზატორი აცნობებს გამარჯვებულს დაგვიანების შესახებ.
5.9 პრიზის გადაცემა განხორციელდება შემდეგნაირად: გამარჯვებულს პრიზი გაეგზავნება ელექტრონული ფორმით Instagram-ის პირადი შეტყობინების სახით.

5.10 პრიზის მისაღებად, მოგებასთან დაკავშირებულ Instagram გვერდზე წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, კამპანიის მონაწილემ უნდა დაადასტუროს თავისი თანხმობა პრიზის მიღების თაობაზე, წარმოადგინოს აუცილებელი ინფორმაცია/ მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი ქალაქი) და გადააგზავნოს მონაწილის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი. ორგანიზატორს აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია პრიზის გადაცემისათვის. დამატებითი დოკუმენტაციის ხელმოწერასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ანაზღაურებს კამპანიის მონაწილე.

5.11 პრიზი გადაეცემა კამპანიის მონაწილეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემდგომ. იმ შემთხვევაში თუ კამპანიის მონაწილე რაიმე მიზეზით ვერ შესძლებს თვითონ მიიღოს მინიჭებული პრიზი, მაშინ სხვა პირი უფლებამოსილია მის მაგივრად მიიღოს ეს პრიზი, მხოლოდ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის ორიგინალის, მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

5.12 ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მონაწილის მგზავრობასთან საცხოვრებელი ადგილიდან პრიზის გადაცემის ადგილამდე და უკან, ეკისრება მთლიანად მონაწილეს. მითითებულ ხარჯებს ორგანიზატორი არ ანაზღაურებს და არ ახდენს მის კომპენსაციას.

5.13 ყველა პრეტენზია პრიზებთან დაკავშირებით წარდგენილ უნდა იქნას აქციის მონაწილის მიერ მოგებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისთანავე. სადაო საკითხების წარმოშობისას, კამპანიის ჩატარებასთან და პრიზის მიღებასთან დაკავშირებით, ორგანიზატორის გადაწყვეტილება საბოლოოა.

5.14 საკუთრების უფლება პრიზზე გადადის მონაწილეზე, პრიზის ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, თანახმად პირობებისა, რომელიც მოცემულია წინამდებარე წესების 5.11 პუნქტში. ამ მომენტიდან ორგანიზატორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა რისკზე, რომელიც დაკავშირებულია პრიზის დაკარგვასთან, მის ფლობასთან, გამოყენებასთან და განკარგვასთან.

6. სხვა პირობები

6.1.A. წინამდებარე კამპანიაში მონაწილეობის მიღებით, მონაწილე იძლევა თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ექსკლუზიურად ამ კამპანიის ჩატარების, პრიზის გადაცემის და კანონიერი რეკლამირების მიზნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. აღნიშნული თანხმობა მოიცავს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, შენახვას, გამოყენებას და პერსონალური მონაცემების გავრცელებას. წინამდებარე თანხმობით ორგანიზატორს ერთმნიშვნელოვნად ენიჭება უფლება მონაწილის სახელის, გვარის, მონაწილის გამოსახულების, მის მიერ ჩაწერილი მედია მასალის (ინტერვიუ ან სხვა მასალები) სარეკლამო/მარკეტინგული მიზნით გამოყენებაზე, ყოველგვარი დამატებითი კომპენასიის გადახდის გარეშე. მონაწილის პერსონალური მონაცემები დაცული იქნება არაავტორიზებული გამჟღავნებისაგან. მონაწილეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს მის პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და ინფორმაცია მისი გამოყენების შესახებ. ორგანიზატორი უზრუნველყოფს, რომ მონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით მიწოდებული ინფორმაცია, მათ შორის პირადი მონაცემები, არ იქნება გამოყენებული სხვა მიზნით, და არ ექვემდებარება კომპენსირებას ორგანიზატორის მხრიდან.
6.1.B. ორგანიზატორი იცავს ყველა მონაწილისა და მესამე მხარის ინტელექტუალურ საკუთრების უფლებებს. მონაწილეთა მიერ მოწოდებული ნებისმიერი კონტენტი, მათ შორის, და არამხოლოდ, შემოქმედებითი ნაწარმოები, ტექსტი, სურათები და ვიდეოები, რჩება შესაბამისი მფლობელების ინტელექტუალურ საკუთრებაში. მონაწილე ორგანიზატორს ანიჭებს არაექსკლუზიურ, უსასყიდლო ლიცენზიას/უფლებას მასალის/ნაწარმოების კამპანიასთან და ორგანიზატორის საქმიანობასთან დაკავშირებული სარეკლამო მიზნებისთვის გამოყენების, რეპროდუცირების, გავრცელებისა და ჩვენების/პუბლიკაციის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზატორი თანახმაა არ მოითხოვოს საკუთრების უფლება ამ კონტენტზე/ნაწარმოებზე ან/და არ გამოიყენოს იგი მინიჭებული ლიცენზიის ფარგლებს გარეთ, მონაწილის დამატებითი თანხმობის მიღების და/ან შესაბამისი კომპენსაციის გადახდის გარეშე.

6.2 ორგანიზატორი იღებს საკუთარ თავზე ვალდებულებას გადაიხადოს ყველა სავალდებულო გადასახადი პრიზებზე, გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის მიერ.
6.3 ორგანიზატორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა:
6.3.1 როცა კამპანიის მონაწილეები ვერ ეცნობიან წინამდებარე წესებს;

6.3.2 ვალდებულებების შეუსრულებლობა ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მონაწილეთა მხრიდან, გათვალისწინებული წინამდებარე წესებით;

6.3.3 პერსონალური მონაცემების, საკონტაქტო და სხვა ინფორმაციის სისწორე, სიზუსტე და სანდოობა, რომელსაც კამპანიის მონაწილეები წარუდგენენ ორგანიზატორებს, ხოლო ორგანიზატორებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, როცა ისინი ვერ უკავშირდებიან მონაწილეებს მითითებულ მონაცემებზე, პრიზების გადაცემის მიზნით;
6.3.4 მოგებული მონაწილეების უარი პრიზებზე, პრიზების მიღებისა და ვერ მიღებაზე ნებისმიერი მიზეზით, რომელიც წარმოიქმნა მონაწილის ბრალეულობით;

6.3.5 მონაწილეთა სიცოცხლეზე, მორალურ და/ან ფსიქიურ ტრავმებზე, მათ კამპანიაში მონაწილეობასთან დაკავშირებით;
6.3.6 საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობა დაუძლეველი გარემოებების არსებობის შემთხვევაში–ისეთი როგორიცაა სტიქიური უბედურება, ხანძარი, წყალდიდობა, საომარი მოქმედებები ნებისმიერი სახის, ბლოკადა, არსებითი ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც მოქმედებს კამპანიის ჩატარების ტერიტორიაზე, სხვა გარემოებები, რომელიც არ ექვემდებარება კამპანიის ორგანიზატორის კონტროლს, თუ ეს გარემოებები ეწინააღმდეგება ვალდებულებების შესრულებას;
6.3.7 პრიზის გამოყენებას მისი მიღების შემდგომ და/ან როცა კამპანიის მონაწილეს არ შეუძლია პრიზის გამოყენება რაიმე მიზეზით;
6.3.8 ფოსტის ქმედებაზე. იმ შემთხვევაში თუ პრიზი, გაგზავნილი მონაწილისთვის, დაიკარგა/დაზიანდა გადაგზავნის დროს, მონაწილის და/ან სხვა პირის პრეტენზიები უპირობოდ უნდა გადაგზავნილ იქნას ფოსტაში, რომელიც ახორციელებდა გადაზიდვას.

6.4 რაიმე სახის შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში, არასათანადო გააზრება, ცდომილება ან ნებისმიერი სხვა სადაო სიტუაცია, რომელიც ეხება მთლიანად აქციას ან მის ნებისმიერი ნაწილს და/ან წინამდებარე წესებს, კამპანიის ორგანიზატორის გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.
6.5 პირი, რომელსაც აქვს მონაწილეობის სურვილი და მონაწილე კისრულობენ პერსონალურ პასუხისმგებლობას მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის და ცნობების სისწორეზე.

6.6 ნებისმიერი და ყოველგვარი დახმარება, აღმოჩენილი მესამე პირის მიერ მონაწილისადმი კამპანიის ჩატარების დროს, არ ანიჭებს მესამე პირს რაიმე უფლებებს, კამპანიაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათ შორის უფლება მოითხოვოს ორგანიზატორისაგან წარმოადგინოს უფლებები და/ან შეასრულოს ვალდებულებები.
6.7 ორგანიზატორს აქვს უფლება განახორციელოს ფოტო ან ვიდეო გადაღება, კამპანიის მონაწილის მიერ პრიზის მიღებასთან დაკავშირებით და მონაწილესთან შეთანხმებით/მონაწილის თანხმობით, გამოაქვეყნოს მითითებული მასალები საკუთარ ვებგვერდზე და რომელიმე საჯარო რესურსში, კამპანიაში მონაწილისათვის ანაზღაურების გადახდის გარეშე.

6.8 ორგანიზატორს არ ეკისრება რაიმე ხარჯი და პასუხისმგებლობა ნებისმიერ დამაბრკოლებელ გარემოებაზე, რომელიც წინააღმდგეობას ქმნის, რათა მონაწილემ მიიღოს პრიზი, აგრეთვე გარემოებაზე რომელიც წარმოიშვა ორგანიზატორისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით.
6.9 კამპანიის წესები გამოქვეყნებული იქნება ვებ გვერდზე www.visa.com.ge

6.10 გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, კამპანიის ინიციატორი კომპანია Visa Inc. და მასთან აფილირებული ნებისმიერი პირი არ წარმოადგენს ორგანიზატორს. ისინი არ მონაწილეობენ კამპანიის ჩატარებასა, გამარჯვებულის გამოვლენისა და პრიზების გადაცემის პროცესში და ისინი პასუხს არ აგებენ ორგანიზატორის მიერ წინამდებარე წესების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე და არ აგებენ პასუხს კამპანიის მონაწილეთა პრეტენზიებზე.